სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
შაბათი
21
სექტემბერი
№ 109 (10502)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ... ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

როგორც თავისი რეგლამენტით, ისე იქ დატრიალებული ამბებით უპრეცედენტო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის სხდომა გაიმართა კვირას, 15 სექტემბერს. მას უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სხდომის დაწყებიდან მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ შეუდგნენ დეპუტატები დღის წესრიგის განხილვას. მთავარი საკითხი იყო თბილისში ამა წლის 2 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის შეფასება, ინციდენტისა, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში. პირველი ორი საათი დასჭირდა კვორუმის განსაზღვრასა და სესიის მუშაობის რეგლამენტის დაზუსტებას. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ რაც წინა სხდომაზე შეჩერდა საქართველოს კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, უზენაესი საბჭოს 236 წევრიდან კვორუმზე დარჩა მხოლოდ 176. სახელობითმა გამოძახებამ, რომელსაც საკმაო დრო მოუნდა და იმის გამო მოხდა, რომ ჯერჯერობით არ არის ელექტრონული ტექნიკა, ცხადყო, რომ რეგისტრაცია გაიარა 168 დეპუტატმა. კიდევ სამ საათს, შესვენების გათვალისწინებით, დეპუტატები მწვავედ განიხილავდნენ სესიის პირდაპირი ტელეტრანსლაციის საჭიროების შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ მეტად ულტიმატური ფორმით დასმულ საკითხს. ექვსი ხმის უპირატესობით უზენაესმა საბჭომ წინააღმდეგ მისცა ამას ხმა.

პროტესტის ნიშნად სხდომა პირველმა დატოვა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წარმომადგენელმა დეპუტატთა ჯგუფმა, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იმ მოწოდების მიუხედავად, რომ გაეზიარებინათ უმრავლესობის აზრი, გაემართათ დიალოგი ყველა წამოჭრილ პრობლემაზე, მიეღწიათ კონსენსუსისათვის საქართველოს ინტერესებისათვის, ამ ჯგუფის შემდეგ დარბაზი დატოვა „დემოკრატიული ცენტრის" ფრაქციამ, აგრეთვე მთელი რიგი სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და ზოგიერთმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა, სულ 89 კაცმა.

ამასობაში, სესიამ განაგრძო მუშაობა. წინასწარ გამოცხადებულ დღის წესრიგში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ მასში შეტანილი საკითხების განხილვას. პირველად მიიღეს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკა უერთდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკისა და ვენის საბოლოო დოკუმენტებს, აგრეთვე მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისადმი და მსოფლიოს იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებმაც 70 წლის წინათ ცნეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო.

უზენაესმა საბჭომ მოახდინა ამა წლის 27 ივლისს თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია. მიღებულია დადგენილება საქართველოში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ, რომლის თანახმად ისინი გამოცხადებულია საოკუპაციო სამხედრო ძალად. განიხილეს აგრეთვე საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ ისინი გამოცხადებულია რესპუბლიკის საკუთრებად. მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს რესპუბლიკის წილის შესახებ.

სესიამ განიხილა ზოგიერთი საკადრო და ორგანიზაციული საკითხი. უზენაესი საბჭო დაეთანხმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან თენგიზ სიგუას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ოთარ ქვილითაიას, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გიორგი ხოშტარიას განთავისუფლებაზე.

პრეზიდენტს დაეთანხმნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად მურმან ომანიძის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მოადგილედ ბაკურ გულუას დანიშვნაზე. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა საბჭომ შეუწყვიტა დეპუტატის უფლებამოსილება ბაკურ გულუას და გაათავისუფლა იგი უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ეს კომისია გაერთიანდეს ეკონომიკური რეფორმის კომისიასთან უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივ კომისიად. მის თავმჯდომარედ დანიშნულია გივი თაქთაქიშვილი.

შემდეგ მიიღეს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე. მიიღეს აგრეთვე კანონები სახელმწიფო საზღვრის, საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ. განიხილეს სხვა საკითხები. ხანამ დეპუტატები შეუდგებოდნენ დღის წესრიგის მთავარი პუნქტის განხილვას, რომელიც ეხება თბილისში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას.

ამ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები მაია ნათაძე, თამაზ გამყრელიძე, გაიოზ კორძაძე, აკაკი კობაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ვახტანგ შითავა და სხვები. პროკურატურის მიერ 2 სექტემბერს თბილისში მომხდარი ინციდენტის გამოძიების მიმდინარეობა სხდომას მოახსენა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. მომხდარს, მიზეზებს რომლებმაც გამოიწვია მილიციის შეტაკება მომიტინგეებთან, თავისი შეფასება მისცა სესიაზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო პროვოკაცია, როგორც მილიციის მუშაკთა მხრივ, ისე მომიტინგეთა მხრივაც, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ერთი ცენტრიდან. ეს პროვოკაცია მიზნად ისახავდა პრეზიდენტის რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ინსპირაციით.

განიხილა რა მიტინგის გარეკვის დროს ძალის გამოყენება უზენაესმა საბჭომ, ისევე როგორც ყველა გამომსვლელმა, თბილისში, რუსთაველის მოედანზე მომხდარი ინციდენტი მიიჩნია დანაშაულად ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას კომპეტენტური საპარლამენტო კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოიძიოს მომხდარი ინციდენტი და შესაბამისი შეფასება მისცეს მას.

სხდომის დახურვის წინ დეპუტატთა ჯგუფის სახელით განცხადება გააკეთა უზენაესი საბჭოს წევრმა მანანა გაბაშვილმა. მასში ნათქვამია, რომ საპარლამენტო ოპოზიციას, რომელმაც სხდომა დატოვა, ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მან ყურად არ იღო რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწოდება, კონსტრუქციული დიალოგი გაემართათ მასთან შექმნილი სიტუაციის სტაბილიზაციისათვის. ამ განცხადებას ხელი მოაწერეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა წევრებმაც.

საქინფორმი.

## აუცილებელია ეროვნული კონსენსუსი

დღეს საქართველოში პრაქტიკულად ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა ურთიერთქიშპობის დამღუპველ შესაძლო შედეგებზე ლაპარაკობს, სასტიკად გმობს ძალისმიერ მეთოდებს, და მაინც შეუწყნარებელი მოვლენების მოწმენი ვხდებით. ხალხში, საზოგადოებაში დიდი წუხილი და შეშფოთება ისადგურებს, იგი გადაილალა გამუდმებული დაძაბულობით.

ყოველი ადამიანი თუ საზოგადოების ნებისმიერი პოლიტიკური კრებული ამა თუ იმ მოვლენას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს. დღევანდელი მოვლენებიც საქართველოში, რომლებიც განპირობებულია როგორც ჩვენი შიგა ვითარებით, ისე იმპერიის ხელისუფლების ინსპირაციით.

გვინდა თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო დავამკვიდროთ—ეს მთავარია. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, ნაკლები დანაკარგებით მოხდეს.

დღეს გვყავს ხალხის უმრავლესობის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. იგი, ცხადია, არც უნაკლოა და არც შეცდომებისგანაა დაზღვეული, მაგრამ ეს შეცდომები დანაშაულად არ უნდა აღიქმებოდეს. ამავე დროს როგორც მოსახლეობის, ასევე თავად ხელისუფლებისათვისაც ოპოზიციის არსებობა უდავოდ სასიკეთოა და აუცილებელიც, თუკი დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრება გვინდა. ასევე სრულიად აუცილებელი და სასიცოცხლოა ჩვენი ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის სიტყვის—ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება. ეს ყოველივე ჩვენი შინაური საქმეების ერთ-ერთი მხარეა.

გარედან მომდინარე პრობლემების გადასაჭრელად სტაბილურობა გვჭირდება პირველ რიგში...

რაც შეეხება სტაბილურობას, ერთი მხარე თვლის, რომ ე. წ. შეურიგებელი ოპოზიციის მოქმედება უშლის ხელს მის დამკვიდრებას. ძნელია დაჯერება, რომ ეს ოპოზიცია შეგნებულ ბოროტებას სჩადის საკუთარი ხალხის მიმართ. ერთი კი ნათელია—საზოგადოებას მკაფიოდ, დასაბუთებულად უნდა ვუთხრათ თუ რა ხდება, სად ხდება და ვინაა მოქმედი.

თემურ თოლორაია.

# მასწავლებელთა კონფერენცია

ამა წლის 18 სექტემბერს რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა ზუგდიდის მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, მასწავლებლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელები, შეფი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია აკურთხა ცაიშის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ამირანმა.

კონფერენციაზე „გასულ 1990-1991 სასწავლო წლის შედეგებისა და მომავალი წლის ამოცანების შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე ლუარა ქვირკველია.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: № 15 საშუალო სკოლის დირექტორი მადონა ჭაბუა, რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ბორის გვაზავა, ოდიშის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ქეთევან კიკალეიშვილი, მასწავლებელთა დახელოვნების ზონალური ინსტიტუტის დირექტორი კარლო მიქაია, № 18 საბავშვო ბაღის გამგე ლამზირა ფირცხალავა, № 1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი დინარა ხაზალია, ხალაბასთუმნის საშუალო სკოლის უცხო ენის მასწავლებელი იზოლდა ქარჩავა, ოდიშის № 1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ლეილა თირქია, კორცხელის საკრებულოს გამგებელი გოჩა რაფავა, ვეტერანი პედაგოგი ირაკლი ჟვანია, მოკონა გვილია და სხვები.

კონფერენციის მონაწილეებმა განხილულ საკითხზე მიიღეს რეზოლუცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ზუგდიდის პრეფექტის მოადგილეები: პაატა ჩუხუა, ინდიკო ქობალია, გობრონ ჯახია, ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად კიტია.

# გამოიწერეთ გაზეთი „ოდიში“

დაიწყო და მიმდინარეობს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია 1992 წლისათვის. ვფიქრობთ ზუგდიდში „ოდიშს“ ზედმეტი რეკლამა არ უნდა სჭირდებოდეს. ვისაც ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური ავკარგის, საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარების პირუთვნელად ამსახველი ინფორმაციები და პუბლიკაციები აინტერესებს, ის აუცილებლად გამოიწერს „ოდიშს“.

უნდა გაუწყოთ, რომ სასტამბო და პოლიგრაფიული ხარჯების გადიდებამ, ქაღალდის ფასების გაუგონარმა გაძვირებამ, რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა რედაქციები და გამომცემლობათა კოლექტივები. რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც გაზეთი „ოდიშია“ გამონაკლისი. 1992 წლიდან ოდიშის საცალო ფასი 10 კაპიკი გახდება. გაზეთზე ერთი წლით ხელმოწერის ფასი იქნება 15 მანეთი და 60 კაპიკი, ნახევარი წლით 7 მანეთი და 80 კაპიკი.

დღევანდელ რთულ პირობებში, როცა სახელმწიფო მაღაზიების თაროები დაცარიელებულია, როცა საკომისიო მაღაზიებსა და საკოლმეურნეო ბაზარზე ყველაფერს ცეცხლის ფასი ადევს, ადამიანებს ერთი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ, როგორმე თავი გაიტანონ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გაზეთი ჩვენი სულიერი საზრდოა და მის გარეშე არცერთი ოჯახი არ უნდა დარჩეს.

ჩვენი რედაქცია მეოთხედ საუკუნეზე მეტია რაც სამეურნეო ანგარიშზეა და ყოველ წელიწადს დიდი მოგებით ამთავრებდა. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში როცა ერთი ტონა ქაღალდის ღირებულებამ 6000 მანეთს გადააჭარბა, როცა ორმაგად და სამმაგად გაიზარდა სასტამბო ხარჯები გაზეთის რენტაბელობაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ველით თქვენს მხარდაჭერასა და თანადგომას ძვირფასო მეგობრებო. რედაქციას ძლიერი სპონსორის გარეშე არსებობა ნამდვილად გაუჭირდება. არ დაგავიწყდეთ მომავალი წლისათვის ხელმოწერის გაფორმება გაზეთ „ოდიშზე“.

**გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია**

# შენი ვალია, მასწავლებელო!

ცნობილია, რომ ცხოვრებაში არსებულ ყველა პროფესიათა შორის მუშაობის ხასიათითა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით მასწავლებლის პროფესია გამოირჩევა. სულაც არ გახლდათ შემთხვევითი, რომ გენიალური ვაჟა თავის ყოფილ კოლეგებს ასე მიმართავდა: „ჩემი მამულის ხსნათ მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია“.

ვერავინ გაექცევა იმ აქსიომად ქცეულ ჭეშმარიტებას, რომ გაკვეთილი სწავლების უმაღლესი ფორმაა, ხოლო მასწავლებელი გაკვეთილზე ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. საქართველოს მომავალი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად შეძლებს დღეს მასწავლებელი თავისი მისიის შესრულებას. ყავლი არასოდეს არ გაუვა პლატონისეულ აზრს: „თუ ათენში იქნებიან ცუდი მეწაღეები, ამით სულ ბევრი, ის უბედურება მოხდება, რომ ათენელებს უშნოდ შეკერილი ფეხსაცმელი ეცმევათ. მაგრამ თუ ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღმზრდელნი მოწოდების სიმაღლეზე არ იქნებიან, ეს საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მომავალსო“.

„ოქროს წიგნისა“ და „დიდი დიდაქტიკის“ ავტორი, ყველა დროის უთვალსაჩინოესი ჩეხი პედაგოგი იან-ამოს კომენსკი თვლიდა, რომ მასწავლებელს მინდობილი აქვს შესანიშნავი თანამდებობა, რომელზეც უფრო მაღალი არაფერი არ შეიძლება არსებობდეს ამ მზის ქვეშ. კომენსკი მასწავლებელს ადარებს: ხეხილის მომვლელ გულმოდგინე მებაღეს, რომელიც საზოგადოებას ნუგბარი ნაყოფით უმასპინძლდება, მოქანდაკეს, ადამიანის სულსა და გულებას რომ ჩამოძერწავს და ჩამოაქანდაკებს, მხედართმთავარს, რომელსაც იერიში მიაქვს უმეცრებაზე.

ქართული ეროვნული პედაგოგიკის კლასიკოსს იაკობ გოგებაშვილს მასწავლებელი მიაჩნდა „ერთერთ დიდებოძად ქვეყნის წარმატებისათვის“, ხოლო ბრძენი ილია, დიდად აფასებდა რა მასწავლებლის ფასდაუდებელ ამაგს ერის წინაშე, ამბობდა: „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედიაო“.

როგორც ცნობილია, ყველა პროფესიის ადამიანს თავისი ეთიკა გააჩნია. მაგალითად: ექიმთა საზოგადოების ეთიკას (ზნეობას) ჰიპოკრატემ ფუძე ჩაუდო საფუძვლად. მისი ლალატი კი ანომალიად ეთვლება ექიმს.

თუ ჰიპოკრატე ექიმთათვის ზნეობრივი სრულქმნილობის ეტალონად ითვლება მასწავლებელს ასეთ ხატოვნად გაღმერთებული წინაპარი არ ჰყოლია. ჩვენ სიამაყით გვავსებს იმის შეგნება, რომ თვით გენიალური ჰიპოკრატე და სხვა აზრთა ტიტანები მასწავლებელთა ხელდებულია და ყველა დროის მასწავლებელი თავის მისიას შინაგანი ძალის მოთხოვნით ანხორციელებდა.

რა არის პედაგოგიური ზნეობის ის სამი ნიშან-თვისება, რომლის მატარებელი უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი პედაგოგი?

ეს არის ბავშვისადმი უსაზღვრო სიყვარული, ვინც არ უნდა იყოს იგი. ვისაც ეს ზნეობრივი თვისება არ გააჩნია, მან პედაგოგიურ საქმიანობას ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

ბავშვისადმი სიყვარული მასწავლებელში აუცილებლად უნდა ეურდნობოდეს ოპტიმიზმს, მასწავლებელს უნდა სწამდეს საკუთარი ძალებისა, სწამდეს ბავშვისა, ირწმუნოს თავისი კეთილშობილური მისია.

ბავშვისადმი სიყვარული განაპირობებს მასწავლებელში მისი აღზრდისა და სწავლების აუცილებლობის შეგნების განმტკიცებას. თუ მასწავლებელს ბავშვი უყვარს, გულისწადილით ადვილად აპოვნინებს ბავშვის ხასიათისა და უნარის შესაფერის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

მხოლოდ ასეთი ზნეობით დაჯილდოებულ მასწავლებელს შეუძლია ბუნებრივად დაეუფლოს ყველა იმ პედაგოგიურ და ინდივიდუალურ თვისებებს, რომელიც ჭეშმარიტ პედაგოგს უნდა ახასიათებს.

სამშობლო ქვეყნისათვის თავდადება შენი უწმინდესი ვალია, მასწავლებელო. და იგი, ოპტიმიზმით აღსავსემ, ჩვენი მომავალი თაობის უსაზღვრო სიყვარულითა და აღზრდის აუცილებლობის შეგნებით უნდა დაადასტურო.

**ტ. ქორთუა,**
საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მეთოდისტი.

# ხალხური ზეპირსიტყვიერების სიყვარულით

საქართველოში ყოველი კუთხე თავისებურად ლამაზია. მათი ერთობლიობა ქმნის უძველეს ერს, მშვენიერ ენას, დიდებულ ფოლკლორს.

ცნობილია, რომ ხალხის ცხოვრება, მისი ტრადიციები ყველაზე მკაფიოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აისახება. ვინ იცის, იქნებ სწორედ ფოლკლორია ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების ერთადერთი საუკეთესო გამომხატველი. იქნებ მის სიღრმეში იდებს სათავეს საზოგადოებრივი ცხოვრების წვრილმანიც კი.

ფოლკლორის სიყვარული ედო საფუძვლად ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მარტვილში მოწყობილ ექსპედიციას, რომელსაც გელა მამფორია ხელმძღვანელობდა.

ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივი მუზეუმის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ელიავას დახმარებით ყურადღებით დაათვალიერეთ ღირსშესანიშნავი ადგილები. ფოლკლორული მასალების შეგროვებაში დიდად დაგვეხმარნენ სოფელ დიდი ჭყონის გამგებელი ო. ნაჭყებია, ფიზკულტურის მასწავლებელი ხ. ბეჭვაია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დავათვალიერეთ კონდრატე ჩაჩიბაიას სახლ-მუზეუმი სოფელ კიწიაში, სადაც სხვა საინტერესო ფოლკლორულ მასალებს შორის დაცული იყო კონდრატე ჩაჩიბაიას მამის მალაქიას მიერ 1887 წელს დაწერილი ლექსი. ეს მასალები გაგვაცნო ფილოლოგმა ოლდა გაბისონიამ.

მარტვილში ყოფნისას ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საქართველო მდიდარია ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, რომელთაც გადარჩენა სჭირდებათ. სწორედ ფოლკლორშია ჩადებული ის სული, რომლითაც უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა.

**ჯილდა ჯგუშია,**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

**გახსენება**

# სითბოსხლო მეგობრიდა

ხუთი წელია, რაც ჩვენგან წახვედი... მეცხრამეტე გაზაფხულზე შემოგადამდა. რამდენი ოცნება დაგრჩა აუხდენელი, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ გოგონას.

წახვედი და დაგვიტოვე ტანჯვა, სევდა და ნაღვლიანი ძნელია უშენობა... ო, როგორ გვაკლიხარ ძვირფასო და ნაზ...

პირველ სექტემბერს 24 წელი შეგისრულდებოდა. გაოგნებულები ვიდექით შენს საფლავთან და გული გვტკიოდა, ახე რომ გილოცავდით დაბადების დღეს.

შენი დები ელისო და იზო პერტიები.

# მონატრება

რა მალე გავიდა ორმოცი დღე. შენი მონატრებით დავიწყეთ ახალი სასწავლო წელი: როგორ დაგვაკლდი, როგორ დაკლდი ჩვენს სკოლას, შენს მოსწავლეებს. არავის გვჭეროდა შენი ავადმყოფობა, არყოფნა უფრო ძნელი დასაჯერებელია.

კოხტა, კოპწია, მოუსვენარი, მუდამ ხალისიანი და საქმის ერთგული, ასეთი გახსოვდა ყველას, ვინც იცნობდა ნაზული ვალერიანის ასულ ჭიქიას.

ყველას ცხოვრებით ცხოვრობდა და ამით არსებობდა, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. გული და სახლის კარი გახსნილი ჰქონდა ყველასთვის. ვერ ძლებოდა ჩვენთან ყოფნით. ყველაფერი სურდა მოესწრო ზედმეტად ყურადღებიანი იყო და უზომოდ განიცდიდა უყურადღებობას და სიკეთის დაუნახაობას.

შენი კეთილი ღიმილი სიკვდილის ჟამსაც არ მოგშორებია. ეს ღიმილი გვანუგეშებს შენს მეგობრებს.

ვაქციოთ ქველმოქმედება ჩვენი ცხოვრების წესად!

# გვახსოვდეს ადამიანი, რომელიც შველას ითხოვს

1988-1992 წლები ინვალიდებზე ზრუნვის ათწლეულად გამოაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. საქართველოს და მითუმეტეს სამეგრელოს ინვალიდთა რეგიონალური ორგანიზაცია გვიან ჩაერთო ამ მოძრაობაში. ახლა ყველაფერი უნდა ვილონოთ საიმისოდ, რომ ამ კეთილ საქმეს ხელშესახები კვალი დავაჩნიოთ.

მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ინგლისში მოქმედებს კანონი უმწეო ადამიანებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. აქ ერთმანეთს ეხამება კერძო და სახელმწიფოს ინიციატივები. შემოღებულია უფასო მკურნალობა იმათთვის, ვისაც ესაჭიროება შრომის უნარიანობის აღდგენა ყველა შრომის უუნარო დახმარებას იღებს სახელმწიფოსაგან და სხვადასხვა უწყებისაგან. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინვალიდთა საცხოვრებელი ბინების ტექნიკურ აღჭურვას. მათ ბინებში კარები განიერია, რათა ინვალიდმა ეტლით თავისუფლად იმოძრაოს. კიბეებიც სავანეებოა. ბინებს ურჩევენ პირველ სართულზე. მოსახერხებელია აგრეთვე კარების სახელურები და ა. შ.

გერმანიაში მოქმედი კანონი სახელმწიფო და კერძო ფირმებს ავალდებულებს სამუშაო —„ძლიერია საქართველო, უძლ დაუთმონ ინვალიდებს. კანონის შეუსრულებლობისათვის დაწესებულია ჯარიმები.

ჩვენში კი რა ხდება? დღევანდელი ჩვენი სიქველე, რომელსაც რატომღაც ქველმოქმედება შევარქვით, მართლაც რომ ერთაზროვან „ქველმოქმედებად" იქცა. მოპარებულ ფულს ვრიცხავთ მრავალთაგან ერთ რომელსამე ფონდში და ამას ვუწევთ ზედმეტ რეკლამას. არც ისაა დასამალი, რომ დღევანდელი „ქველმოქმედებით" ზოგი ხელსაც კარგად ითბობს.

ჩვენ, ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონის ხელმძღვანელებს მადლობის მეტი რა გვეთქმის ისეთი ხელმძღვანელების მიმართ, როგორიც არიან: ხეცერის ჩაის მეურნეობის დირექტორი ვახტანგ კვარაცხელია, რომელმაც 5000 მანეთი ჩაგვირიცხა, ლვინის ქარხნის დირექტორი ფელიქს წყაროზია, რომელმაც 4000 მანეთი ჩარიცხა ჩვენს ფონდში. ზუგდიდის საფინანსო განყოფილების გამგე კოტე წურწუმია, რომელმაც საქველმოქმედო ფონდს 5000 მანეთი შესწირა. 1000 მანეთი გაიღო ინვალიდებისათვის ნავთობბაზის დირექტორმა ჯუმბერ კვარაცხელიამ.

მაგრამ რა უნდა ვთქვათ ისეთ ხელმძღვანელებზე, რომელთაც საკმაოდ სოლიდური თანხები უკავიათ და მაინც ვერ ჩვენი მრავალგზის მიწერილობისა, გულთან არ მიიტანეს ინვალიდთა გასაჭირი. და ეს ხდება მაშინ, როცა მათ უმრავლესობას დიდი თანხები აქვთ ჩარიცხული ისეთ თავისუფალ ორგანიზაციებზე, როგორიცაა „წითელი ჯვრის", „წყალში დამხრჩვალთა", „ნახევარმთვარის", „ფეხბურთის მოყვარულთა", „კავკასიის" ორგანიზაციები.

ნუ გვიწყენენ ჩვენი თანამემამულენი და ინვალიდებისადმი ასეთი უყურადღებობა ნამდვილად არ ეკადრებათ, ყოველი ჩვენგანი ვალდებულია ზრუნავდეს ბუნებით დაჩაგრულ ადამიანებზე. იმედი გვრჩება, მაინც დღემდე ახსოვთ აგრომრეწვბანკის ანგარიში —70007 და დახმარების ხელს გაუწვდიან ინვალიდთა ასოციაციას.

ს. კვარაცხელია,
ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

ახლა, როდესაც მიმდინარეობს ძიება, თუ რა სახელი უნდა ვუწოდოთ სოფელ ოქტომბერს, მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ ისტორიულ ცნობას ამ სოფლის შესახებ.

# რა დავარქვათ სოფელ ოქტომბერს?

სოფ. ოქტომბერს, სანამ ამ სახელს დაარქმევდნენ (20-იან წლებში), იცნობდნენ ცაიშის კახათის სახელწოდებით. ვიცით, რომ სოფლის ფართო ტერიტორიის ცალკეულ უბან-მონაკვეთებს აქვთ სახელწოდებანი (მუხური, მარა და სხვა), მაგრამ ესენი წერილობით წყაროებში სოფლებად არ მოიხსენიება.

წერილობით წყაროებში სოფლებად ამ ტერიტორიაზე მოიხსენიება დავითიანი და თარგამული.

როგორც სოფლის მცხოვრებლები ადასტურებენ, წინაპართა გადმოცემებით თარგამული სოფელს ეწოდა გასულ საუკუნეში სენაკის მაზრის სოფელ თარგამეულიდან აქ გადმოსახლებულებისაგან. ასეთი დასახლება ახლაცაა მარტვილის რაიონში და იგი შედის თამაკონის სოფელში.

სულ სხვა ახსნა აქვს დავითიანის სახელწოდებას. იგი აიხსნება ამ სოფელში წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესიის არსებობით. ამის თაობაზე დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, მკითხველი უთუოდ იცნობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მზმანტი პაპკორიას წერილს „დავით აღმაშენებლის ეკლესია", რომელიც ამას წინათ გაზეთ „ოდიში" დაიბეჭდა (იხ. №105).

დავითიანი უფრო ძველი სახელწოდება ჩანს, ხოლო თარგამული მერმინდელია, რომელიც ამ სოფელს ან მის ნაწილს ახლადჩამოსახლებულებმა მოუტანეს. სოფელში ყოფილა ეკლესიაც, არის ნაშთებიც.

ასეთია ზოგიერთი ისტორიული ცნობა სოფ. ოქტომბრის წარსულიდან. მას თავისი კანონიერი სახელი უნდა დაუბრუნდეს. რომელ სახელს აღვუდგენთ, ეს ადგილობრივი მოსახლეობის საქმეა, მაგრამ რა უნდა იყოს იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე ის სახელწოდება, რომელიც დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.

ქეთევან სიგუა,
ისტორიკოსი, ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი.

# სადაურსა სად წაიყვან, ბედო

ჩვენი სამშობლოს ტანჯულმა წარსულმა ბევრ ადამიანს სამუდამო ტკივილით დაუკოდა გული. იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ცრემლიანი თვალებით გასცქერიან უნაპირო ზღვის გადაულახავ ზღუდეს, რომლის მიღმაც მისი თვისტომია, მისი სისხლი, და ხორცია.

ანაკლიაა ის სოფელი, სადაც ცამდე აღწევდა ტანჯულთა კვითინი, სადაც დღესაც ტკივათ წარსულით მიყენებული იარები. ვინ მოთვლის, რამდენ შვილმოტაცებულ დედას დაეყარა მიწა, რამდენი მამა ჩამოხმა ჯავრით, რამდენ ძმას ჩაუკრავს სიმწრით მჯიღი გულში...

„თუ ოდესმე მიაღწიოთ სტამბოლს, ჩემი საფლავის მიწა დააყარეთ ჩემი დების საფლავს"— სიკვდილის წინ ამას ითხოვდა დების ნატვრაში სულდალეული შაინ ქელეჯოღლი. და აჰა, აღსრულდა ბედნიერი დღე, გაიხსნა ბოქლომდადებული საზღვარი. დამ და მონახა და ძმამ ძმა. ეხვევიან ერთმანეთს რაია ქელეჯ-ოღლი და თურქეთიდან მოულოდნელად მობრძანებული, დღემდე უნახავი მამიდაშვილები ულვი და ალმაიზიდი. დედის გამზრდელ მიწას ემთხვევიან ვაჟკაცნი. მათ ძარღვებში ხომ ლაზური სისხლი ჩქეფს. უხარიათ მათ, გვიხარია ჩვენც, აქაურებს რომ საბოლოოდ აუსრულდათ ნატვრა თვალზე ცრემლშეუშრობელ ადამიანებს. მე მიხარია, რომ ზღვის გაღმა, თურქეთში ბევრი ნათესავი და მეგობარი გვყავს. ისინი გავლენიანი ადამიანები არიან და ზრუნავენ საქართველოზე.

ამ შეხვედრამ თვალნათლივ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ საშურია უცხოეთში მიმოფანტული თვისტომის მოძიება და გულში ჩაკვრა. ეს სჭირდება მრავალჭირნანახ საქართველოს, მის ხვალინდელ ბედნიერებას.

მარინა ცარციძე,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

# ბარათი—ამბროლაურიდან

დიდინეძის გამგეობის მერაბ ქუჩავას სახელზე გამოგზავნილ ბარათში აი, რას სწერენ ამბროლაურიდან ნათელა და ნანული ფანჯიკიძეები:

ამბროლაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში სტიქიური უბედურების გამო დაინგრა არა ერთი ოჯახი, მათ შორის ჩვენიც. ამ ერთი თვის წინათ, ჩვენთან ჩამოვიდა მშენებელთა კომპლექსური ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში არიან თქვენი თანასოფლელები: ემზარ, მურთაზ, სოსო ქებაშვილები, რომლებმაც გაითავისეს ჩვენი გაჭირვება. ბიჭები წუთს არ კარგავენ უქმად, აშენებენ სწრაფად ხარისხიანად.

გვსურს თანასოფლელებს მივაწვდინოთ ჩვენი ხმა, რომ ისინი გარდა თავდადებული მუშაობისა არიან მეტად ზრდილნი, თავაზიანნი. ისიც გვახარებს, რომ წარმოშობით რაჭველები არიან და მონაწილეობას იღებენ რაჭის აღდგენა-გალამაზებაში.

ჩვენ ასი ხმა რომ გვქონდეს ასივე ხმით ვამცნობდით ყველას, მათ კეთილშობილურ საქმიანობაზე.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები საქართველოს ყველა კუთხეში.

# მხოლოდ ერთიანობა გვიშველის

მძიმე დღეები დაუდგა საქართველოს. შინაური აშლილობა, ძმათა შორის შუღლი, მტრობა, ერთმანეთის უსირცხვილო ძაგება ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს თავისუფლების გზით მიმავალ საქართველოს. ვისთვის და რისთვის არის საჭირო ჩვენი საყვარელი დედაქალაქის მთავარ მაგისტრალზე, რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადების აღმართვა, პროსპექტის ჩახერგვა სამშენებლო მასალების ნარჩენებით. საინტერესოა ვისგან ველით თავდასხმას, ვისგან ვიცავთ თავს. ამაზე დიდი უბედურება რა იქნება, როცა ქართველი ქართველისაგან თავის დასაცავად დედაქალაქის ცენტრში ბარიკადებს აგებს, ნუთუ ვერ ვგრძნობთ იმას, რომ ჩვენ თვითონ ქართველებმა მტრის წისქვილზე წყალი კი არა ნიაღვარი მივუშვით,

საქართველოს ერთი საერთო მტერი ყავს. სულთმობრძავი კრემლის იმპერია. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება თვით კრემლის მიერ არის ინსპირირებული, ამას ყველა გრძნობს და თვალნათლივ ხედავს. გვიკვირს ყველაფერ ამას რატომ არ ხვდებიან ისინი, ვინც ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტის ბატონი ზვიად გამსახურდიას გადადგომას მოითხოვენ. ვითომ მისი გადადგომით ეშველება საქმეს. ჩვენ ახლა ერთმანეთის თანადგომა, მხარდაჭერა გვჭირდება და არა გათიშულობა. დედამიწაზე ჯერ არ შობილა უშეცდომო კაცი და არც გამსახურდია იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან. მაგრამ ხომ უნდა მივცეთ საშუალება თვითონვე გაასწოროს თავისი შეცდომა თუ ავირჩიეთ და ქვეყნის სათავე მივანდეთ სამართავად, მივცეთ იმ საშუალება იმუშაოს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

საქართველოს დაუძინებელი მტერი, ტირანთა შორის ყველაზე დიდი ტირანი, მაგრამ ჭკვიანი მხედართმთავარი შაჰაბაზი ამბობდა თურმე:

—„ძლიერია საქართველო, უძლეველია ქართველი ერი. ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს ვერავინ დაიჩოქებს და დაამარცხებს, მაგრამ ბედნიერება ის არის, რომ ქართველის დამარცხება ყველაზე უკეთ თვით ქართველს ეხერხება" ამის მაგალითი საქართველოს ისტორიაში რამდენიც გნებავთ იმდენია. დღესაც იგივე მეორდება. ქართველები ქართველებს დაერივნენ. მტერი ქირქილებს და ქირქილებს. ჩვენი ჩარევა რაღა საჭიროა. ეგენი მიუშვით და თვითონვე ამოჟუჟავენ ერთმანეთს.

დაძაბულობამ საქართველოში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ვითარება დღითიდღე კრიზისული ხდება. დღეს საქართველოში ვერ ნახავ ოჯახს, რომელსაც შექმნილი სიტუაცია არ აფიქრებდეს და არ აღელვებდეს. სამ კაცს ერთად თავმოყრილს ვერ ნახავ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე არ საუბრობდეს და კამათობდეს. გუშინ მოკამათეთა ჯგუფში ასეთ საუბარს შევესწარით:

ქართველები მანამ არ მოისვენებენ, სანამ კრემლი „წესრიგის" დასამყარებლად თავის ჯარს არ დაგვისევს და მიწასთან არ გაგვასწორებსო.

ვითომ ასეა? კრემლი ჯარებს დაგვისევს? არა გვგონია. რაში სჭირდება კრემლს ჯარების გამოგზავნა და ჩვენი დარბევა, როცა ჩვენ თვითონ იმას ვაკეთებთ, რაც კრემლს უნდა, ჩვენ თვითონ ვარბევთ ერთმანეთს.

ჩვენ პოლიტიკაში დიდად გაწაფულები არა ვართ და არც გვაქვს პოლიტიკოსობაზე დიდი პრეტენზია, მაგრამ იმდენი კი გვესმის, რომ თეთრი და შავი ერთმანეთისგან გავარჩიოთ. თუ არ შევკავშირდებით, ერთმანეთის გვერდით არ დავდგებით და ერთ მუშტად არ შევიკვრებით, ერთიანი ძალით არ შევუტევთ საერთო მტერს, იმ მოპოვებულ თავისუფლებასაც დავკარგავთ. მერე კი გვიანი იქნება თითზე კბენანი.

რ. მიქელაია,
საბჭოს ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე,

შ. ჯიქია,
კობახიძის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

ზუგდიდის რაიონის მოს-წავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ წრეებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურის წრე (ხელ. ნ. აკობია).
2. საქართველოს ისტორიის წრე (ხელ. ჯ. ნაჭყებია).
3. უცხო ენის (ინგლისურის) შემსწავლელი წრე (ხელ. ლ. ლაგვილავა).
4. უცხო ენის (გერმანულის) შემსწავლელი წრე (ხელ. ნ. ქირია).
5. მათემატიკის წრე (ხელ. დ. გახარია).
6. ქიმიის წრე (ხელ. ნ. ჯანჯღავა).
7. ბიოლოგიის წრე (ხელ. მ. თორდია).
8. სახვითი ხელოვნების წრე (ხელ. ჯ. ჭურღულია).
9. ფოლკლორის წრე (ხელ. მ. დამენია).
10. მხატვრული კითხვის წრე (ხელ. მ. ფარცვანია).
11. დრამატული წრე (ხელ. ი. მოსია).
12. ფოტომოყვარულთა წრე (ხელ. ა. ყუფუნია).
13. სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე (ხელ. გ. კაპანაძე).
14. ნორჩ მეთჯახეთა წრე (ქსოვა, ქარგვა) (ხელ. ვ. გელენავა).
15. ვოკალური წრე (ხელ. ი. ჩიგოგიძე).
16. გიტარის შემსწავლელი წრე (ხელ. გ. წიწავა).

საგნობრივ წრეებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მე-8, მე-11 კლასის მოსწავლეები, აგრეთვე ის აბიტურიენტები, რომლებსაც ცოდნის გაღრმავების სურვილი გააჩნიათ მათთვის საინტერესო საგნებში.

შემოქმედებით ჯგუფებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე მე-4, მე-11 კლასის მოსწავლეები.

მეცადინეობა დაიწყო 16 სექტემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციას. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №77, ტელეფონი 2-31-54.

დირექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ია ბესელია'ს ხსოვნას

ახლა, როცა უკვე აღარ ხარ ცოცხლებში, მთელი სიცხადით გვეუფლება მწველი, ადამიანური წუხილის მტანჯველი გრძნობა.

საკუთარი შრომითი ბიოგრაფიით, რომლის ამოსავალი ისევ შენი უზომო სიბეჯითე და ხალასი ბუნება იყო, კოლექტივს თავი დაამახსოვრე. თითქმის 30 წელი იმსახურე ჩვენს კოლექტივში და ამ ხნის მანძილზე იმდენი სიკეთე და გულთბილობა გვახსოვს შენგან, რომ შენი დაკარგვით გამოწვეული წუხილის შეგრძნება დიდხანს გაგვყვება.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო დაუვიწყარო ია. შენი დაკარგვით დარჩენილ სიცარიელეს ვერ ამოავსებს ის ცრემლი, რომელიც იღვრება, ვერ ამოავსებს ვერავითარი სანუგეშო სიტყვები. ჩვენი კოლექტივი შენს სახელს სანთლებად აინთებს.

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის კოლექტივი.

რედაქტორი
აკ. მანტურია.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

სპეციალიზირებული სასწავლო კოოპერატივი „ცოდნა“ ამზადებს აბიტურიენტებს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა.
2. საქართველოს ისტორია.
3. გერმანული ენა.
4. ინგლისური ენა.
5. მათემატიკა.
6. ფიზიკა.
7. ქიმია.
8. ბიოლოგია.
9. ხაზვა.

კოოპერატივის ბედაგოგები არიან მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ აბიტურიენტებთან მუშაობის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს აბიტურიენტთა მომზადების მაღალ ხარისხს.

განცხადებების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე, მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, მე-2 სართული, ოთახი №211.

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 12 აგვისტოს №687 დადგენილებით მიმდინარე წლის აგვისტოდან ხორცკომბინატებსა და პირუტყვის გადამამუშავებელ ქარხნებს ნება დაერთოთ მიჰყიდონ მოსახლეობას ამ მიზნით გამოყოფილი კომბინირებული საკვების ფონდიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ყოველ ერთ კილოგრამ ხორცზე (ცოცხალი წონით) ხუთი კილოგრამი კომბინირებული საკვები, ადრე გათვალისწინებული სამი კილოგრამის ნაცვლად.

## ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი (დავით ალმაშენებლის ქუჩა №4)

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ჯგუფი).

22 სექტემბერი 1991 წელი

„ამირანი“ ოჩამჩირე — „გორდა“ რუსთავი

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 17 საათზე

ამ გუნდში სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი შედგება 21 სექტემბერს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე 16 საათზე, წვიმიანი ამინდის შემთხვევაში მატჩი გაიმართება ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.

## ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის მიმდებარე ჭითაწყარის, ცაიშის, ურთის, ძველი აბასთუმნის, ხეცერის უბნის, კოლხიდის და საანთიოს უბნის მოსახლეობის საყურადღებოდ!

ამ განცხადების გაზეთში გამოქვეყნებიდან 5 დღის შემდეგ მღრღნელების საწინააღმდეგოდ, მოხდება ფაბრიკის ეზოს მთლიანი ტერიტორიის შეწამვლა. ცალკეულ პირებს, რომლებმაც თავიანთი ღორები შემოუშვეს ფაბრიკის ტერიტორიაზე, ვაფრთხილებთ ზემოთ აღნიშნულ ვადაში გაიყვანონ პირუტყვი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაცემული ღორების მეპატრონეების პრეტენზიები არ მიიღება.

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის ადმინისტრაცია.

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის სტამბა კერძო პირებისაგან იღებს, როგორც საქორწინო, ისე სამგლოვიარო დასაუწყებელ ბარათებს სტამბური წესით დასაბეჭდად ხელსაყრელ ფასებში. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სტამბის ადმინისტრაციას. შეკვეთები მიიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა

ჰყიდი ორსართულიან გარემონტებულ სახლს ეზოთი. სვერდლოვის ქ. №20. მომაკითხეთ ამ მისამართზე.

შვილები: მაული, რუზგენი, მურმანი, გულვერი ხარჩილავები. დები: ლუბა, ვალენტინა, ვალია წურწუმიები. შვილიშვილები: მაკა, ეკა ბერიშვილები, ნატო, ელგუჯა ჭითანავები, ლორიტა, პაპუნა, ნანა, დევისი, იაგო, ხატია, ნაირა, მარიკა ხარჩილავები, რძლები: ნინო ჩანგელია, დინიზა ზარქუა, დოდო პაპავა, ლამარა გოლეთიანი, დეიდა ლუდია გახარია. სიძეები: ანზორ ბერიშვილი, ელდარ ჭითანავა, ჯრიშა შანავა, ჟორა გოგოხია. მულები: ლუბა, შუშანიკა, გოგუცა. მაზლები: ოთარი, ვახტანგი ხარჩილავები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეთერ (ქსენია) დიმიტრის ასულ წურწუმია - ხარჩილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 სექტემბერს, დაკრძალვა 24 სექტემბერს სოფ. ახალსოფელში.

მეუღლე დუშა. შვილები მიმოზა, ლერი, თამაზი. და მარო. შვილიშვილები: თემური, ირვინი, ლიზი, ნანო, ირაკლი. რძალი იზოლდა ჭურღულია, სიძე ვოლტერ ოჩიგავა, ცოლისდა ირა, ცოლისძმა გენო მიქაძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**შოთა (სილვერიანე) დამიანეს ძე ხუბულავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 სექტემბერს. გამოსვენება ლუქსემბურგის 9.

კახათის №1 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები თანაუგრძნობენ თეა კაკულიას მამის

**ჯუმბერ კაკულიას**

გარდაცვალების გამო.

და ოლია, სიძე შოთა კვარაცხელია შვილებით: ნუგზარი, აბესალომი, დანიელი, ნესტანი, დარეჯანი, მაყვალა და შვილიშვილები იუწყებიან

**შოთა გუჯუს ძე მიქავას**

გარდაცვალებას.

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს კარლო დიდიშვილს ძმის

**იურა მიშას ძე დიდიშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლიანა გურგენიძე, შვილები მურთაზი, გიორგი, რძლები: ვინერა ჯინჯოლავა, ინგა ჭეჟინავა, ნინო ჯიქია, შვილიშვილები: გიორგი, ნიკოლოზი, ირაკლი. დეიდა ნადია კახაძე. ბიძაშვილები: ეთერი, აპოლონი, გივი, ომარი, რომანი, ტოლიკი, როზა, მადონა ჯინჯოლავები, ნანული, ლერი, ალიკო, ლიანა, დარეჯან, ტარიელი, აკო, გივი კახაძეები, დეიდაშვილები: ნინელი, ზურაბ ლეშკაშელები, მზახლები: ასმათი, ლუდორ ჭეჟინავები, ნათელა, ლევან ჯიქიები, ცოლისდები: თალიკო, ნონა, ცოლისძმა პალიკო გურგენიძეები, სიძეები: ბიჭუნა ჯიქია, ვასო ღურწკაია და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**სოსო ნიკოლოზის ძე ჯინჯოლავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 სექტემბერს. გამოსვენება 24 სექტემბერს. ზუგდიდი, ეგრისის ქ. 16.

დიდა ჟურა. მამა ორდენანი. მეუღლე ციალა. სიდედრი მერი მესხია, შვილები მაია, მაკა, მამუკა. დები: ლუარა, თინა, თამელა, ცისო. ძმა გულვერი. მამიდები: მარგო, კუშნა, ბიძები: საშა, ინდიკო ბერიები. ვარლამ ახალაია, დეიდა ტატიანა ახალაია, რძალი ლუარა ოკუჯავა, ბიცოლა ფუფა ყოლბაია. ცოლისდები: ქეთო, ნატო, ცოლისძმები: ბონდო, ენვერი, დემური მიქხიები. სიძეები: ნუგზარ ძანძავა, თემურ თორდია, ზაურ გოჩუა, ვახტანგ გვასალია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძმისშვილები, ცოლისძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუგზარ (ზაური) ორდენანის ძე ბერიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 სექტემბერს. დაკრძალვა 24 სექტემბერს სოფელ შამგონაში.

ოქტომბრის საშუალო სკოლის 1969 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**იურა მიშას ძე დიდიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სიდედრი ვერა, შვილებით: გრისკო, კაკა, ნორიკო, ციცი თორდიები ოჯახებით იუწყებიან

**ინდიკო დომენტის ძე შენგელიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე დათუშა. სიდედრი შაინე, შვილები დავითი, მაყვალა ფირცხელავები. ძმა დათო, და ცუცუ, რძალი ნათელა. სიძეები: მიშა თოლორდავა, ილუშა ქუხილავა. მაზლები: გურია, ოთარი, მულები: გოგუცა, ლუბა, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალუშა (ამალია) სანდროს ასულ ფიფია-ფირცხელავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 სექტემბერს. დაკრძალვა 24 სექტემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, სამგორის ქ. 29.

დიდა თამაშა, მეუღლე ლუარა, შვილები ბელა, მარინა, აბესალომი, ფრიდონი, და ეთერი, დისშვილები ელგუჯა, ბადრი, ხვიჩა შამუგიები სიძე მერაბი გადელია, ბიძა ჟორჟი კვარაცხელია, დეიდები: პაჭუ, მარგარიტა, შურა, ბოქლუ, მამიდა თინია ქობალია, ბიცოლები: მერი, ლენა, ბიძაშვილები ნელიკო, პარტიკო შენგელიები, სიდედრი ვერა, ცოლისდები: გრისკო, კაკა თორდიები. რძალი შურა თორდია, მზახალი ქეთო გადელია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ინდიკო დომენტის ძე შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21 სექტემბერს. დაკრძალვა 22 სექტემბერს დარჩელში.

ზუგდიდის სტამბისა და გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნესტან კვარაცხელიას ბიძის

**შოთა გუჯუს ძე მიქავას**

გარდაცვალების გამო.

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი

**ია (იამანი) ისიდორეს ასული ბესელია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის სტამბისა და გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯული გუგუჩიას მამიდაშვილის

**იური მიხეილის ძე დიდიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი ქ ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები; რედაქტორის 2 24 80. რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №4295